# ივერია

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1892

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, აფშალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.


## რედაქციისაგან

გაზეთი „ივერია“ 1-ლ აგვისტოდგან წლის დამლევამდე ღირს 5 მან. 50 კაპ. მსურველს შეუძლიან ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს. (10—8)

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

ყოველ დღე მიიღება „ივერიის“ რედაქციაში შემოწირულებანი სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

---

ტფილისის მიხეილის სახელოსნო სასწავლებელი აცხადებს ნათესავთა და მშობელთა საცნობელად, რომ ყმაწვილთა ამ სასწავლებელში მისაღებად საჭიროა: 1) სასწავლებელში მისაღებ თხოვნასთან ერთად (უბრალო ქაღალდზედ) დირექტორის სახელობაზედ წარდგენილი იყოს შემდეგი ქაღალდები: წლოვანების მოწმობა, ჯანმრთელობისა და ყვავილის აცრის მოწმობა და ყოფა-ქცევის მოწმობა, თუ ყმაწვილი წინად სხვა სასწავლებელში ყოფილა, 2) სასწავლებელში მიიღებენ ყმაწვილებს არა ნაკლებ $13^1/_2$ წლისა (1 ენკენისთვისთვის) და არა უფროს 18 წლისა, 3) სასწავლებელში მისაღებ ყმაწვილებს გამოსცდიან საღმრთო წერილისა, რუსულ ენისა, ქართულისა ანუ სომხურის (შთამომავლობის დაგვარად) ენისა და არითმეტიკის ცოდნაში, იმ პროგრამით, რომელიც მიღებულია პირველ-დაწყებითს სასწავლებლებში.

სასწავლებლების შესახებ დაწვრილებით ცნობათა გაგება შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში ყოველ დღე 8 საათიდგან 12 საათამდე. იქვე მიიღებენ სასწავლებლებში მისაღებ თხოვნებს.

გამოსაცდელ ეგზამენებისა და განსამეორებელ ეგზამენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (3—1)

---

## ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

ტფილისის მიხეილის სამკურნალოში 3 აგვისტოს დილით იყო ხოლერით ავადმყოფი: 11 კაცი და 3 ქალი; იმავე დღეს მიიყვანეს ორი კაცი: მირზოევი და სარქისოვი; გარდაიცვალა 4 კაცი: ნატალუხი, ვაჰანიანცი, ადიშევი და პონომარიოვი. დილით 4 აგვისტოს დარჩა 9 კაცი და 3 ქალი.

მეტეხის სატუსაღოს სამკურნალოში მიიყვანეს ტუსაღი ახმედ-ალაჰ-პერ-სალი-ოღლი.

მაჰმადიანთათვის დროებით აგებულს ფარდულში მორჩა აშემ-ნაგი-ოღლი.

რკინის გზის სამკურნალოში დიდუბიდგან მიიყვანეს იოსებ დურგლიშვილი.

სახლში სწამლობენ: შუშან არამოვისას, 5 წლისას; ელისაბედ გრიგორიევისას; 1 აგვისტოს ავად გახდა ოჰანეზ მელიქოვი ძ ისაკ მეზურნოვი; 2 აგვისტ. ავად გახდა შაინ-ვაჰანიანცი და ჯავარ ათაბეგოვი; 3 აგვისტ. ავად გახდა ალექსანდრე ოლშინსკი და ბაბალე სტეფანოვისა, რომელიც მალე გარდაიცვალა.

მორჩნენ რკინის გზის სამკურნალოში: სარდიონ შილოკვაძე, იაგორ ჯაყელი, ანისია რუტცი, პეტრე სტრელნიკოვი, ანნა მაიეროვიჩი და ელენე მიხაილოვისა.

მორჩა რაისა მაჟაროვისა, რომელსაც სახლში სწამლობდნენ.

ტფილისის მაზრის უფროსი იუწყება: სოფ. წავკისში გახდა 8, გარდ. 4.

გორის მაზრის უფროსი იუწყება: სოფ. ბრეთში ავად გახდა 7, გარდ. 3; სოფ. ძლევის-ჯვარში ავად გახდა 11, გარდ. 6; სოფ. ხიდისთავში ავად გახდა 1, გარდ. 1; ხაშურში გარდ. 1; სურამში ავად გახდა 1; ხცისში ავად გახდა 6, გარდ. 2; ღოღეთში ავად გახდა 8, გარდ. 2; ზემო-ჭალაში ავად გახდა 2, გარდ. 2; დირბში გახდა ავად 1, გარდ. 1; რუისში ავად გახდა 1, გარდ. 1; ურბნისში გახდა ავად 2, გარდ. 2; პატარა მეჯვრისხევში გარდ. 1; კარალეთში გახდა ავად 6, გარდ. 2; კიცნისში ავად გახდა 2, გარდ. 2; ძევერაში ავად გახდა 1, გარდ. 1; შერთულში ავად გახდა 2, გარდ. 1.

ექიმი მალალაშვილი იწერება: ახალქალაქში 26 ივ.—2 აგვ. ავად გახდა 44, გარდ. 24; ჩოჩეთში ავად გახდა 22, გარდ. 12; ერთა-წმინდაში ავად გახდა 2, გარდ. 1; კავთიხევში 27 ივლისს ავად იყო 41, გარ. 16, მორჩა 14, ავად არიან ეხლა 11; სოფ. ახალციხეში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1; ზემო-ხანდაკში ავად გახდა 2; მეტეხში ავად გახდა 4, გარდ. 2; ქვემო-ხანდაკში გარდაიცვალა მამასახლისი მამულაშვილი; გომში გარდ. 3; გომის ფარდულში მიიყვანეს მიხეილის დეპოს მუშა ბრევაძე.

ბორჩალოს მაზრის უფროსი იუწყება: გეურარხში ავად გახდა 5; კურტლიარში ავად გახდა 1; ეკატერინენფელდში გარდ. 2, მორჩა 10; შულავერში ავად გახდა 7, გარდ. 7; ჯალალ-ოღლში გახდა ავად 1, გარდ. 1.

ახალქალაქის მაზრის უფროსი იუწყება: არაგვაში ავად გახდა 3, გარდ. 3; ხოსპიაში ავად გახდა 4, გარდ. 1; ხერთვისში ავად გახდა 8, გარდ. 2; გუმურდოში ავად გახდა 2; ქ. ახალქალაქში ავად გახდა 2; ბარალეთში ავად გახდა 2, გარდ. 1;

ახალციხის მაზრის უფროსი იუწყება: 25—26 სოფ. ასპინძაში ავად გახდა 20, გარდ. 6, მორჩა 12; ლამისხევში გახდა ავად 2, გარდ. 1; ზემო-ოშორაში გახდა ავად 5, გარდ. 3; იდუმალაში გარდ. 1; მუსხში გახდა ავად 8, გარდ. 5. ქ. ახალციხეში 28 ივლისიდგან ავად არავინ გამხდარა.

## ახალი ამბავი

⁂ † შაბათს, 1 აგვისტოს, აგარაკს კოჯორში გარდაიცვალა ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ ქართლ-იმერეთის სომხეთა ეპარქიის უფროსი, ეპისკოპოსი მამბრე სანასარიანი.

განსვენებული ეპისკოპოსი მამბრე დაიბადა ერევნის გუბერნიის სოფ. ვაგარშაპატს 1843 წელს. სწავლა დაამთავრა ეჩმიაძინის სასულიერო სასწავლებელში და 1864 წელს ბერად ეკურთხა. შემდეგ დანიშნულ იქმნა ეპარქიის უფროსის თანამდებობაზედ ჯერ ქ. გორში და შემდეგ ქ. ნახიჩევანში. რამდენისამე ხნის შემ ეგ ეპისკოპოსი მამბრე დაინიშნა ეჩმიაძინის კონსისტორიის წევრად. 1887 წელს მამბრეს ეპისკოპოსობა ებოძა და ეჩმიაძინის სინოდის წევრად დაინიშნა. ამ თანამდებობას ასრულებდა იგი სიკვდილის დღემდე.

განსვენებულის გვამს ხუთშაბათს, 6 აგვისტოს, დაასაფლავებენ კოჯორის სომეხთა ეკკლესიაში.

---

# ფელეტონი

### ეგზემენის წინად *)

(მოთხრობა გეორგ ბენდლერისა)

გერტრუდამ კარგად შეატყო, რომ ძმა რაღასაც უმალავდა და მალეც გამოსტეხა ყველაფერში. ბევრის მიკიბ-მოკიბვის შემდეგ არტურმა განუცხადა გერტრუდას, მგონი ვერ ავიცილებ თავიდგან კარლის დაკმაყოფილებასაო.

ქალმა პირველს ხანს მხოლოდ ზიზღიანად გაიღიმა. კარლი შულცე და დაკმაყოფილება!.. მაგრამ შემდეგ, როცა მთელი ღამე ძილი აღარ მოუვიდა და მხოლოდ ამ ამბის შესახებ ჰფიქრობდა, მაშინ-კი თითქოს შეფიქრიანდა, რადგანაც მართლა ძლიერ ცუდი შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა, მერე ისიც ეგზამენის წინა დღეს. შეიძლება სწორედ სასოება წარეკვეთოს კაცსა ამ ყოფაში!

გერტრუდას თავის ძმის კარგად მომზადებისა საეგზამენოდ ბევრი არა სწამდა-რა, რადგან არტურმა ძლიერ ცოტა იმუშავა. რა ოინი იქნება, რომ ამ მეეტლეს შვილი კარგად გამოვიდეს ეგზამენში და ჩემი ძმა-კი ჩაიჭრას! მერე ვაი სირცხვილო! ამ ფიქრმა ისე გაამწარა და აალელვა გერტრუდა, რომ გული ველარ დაიმშვიდა და ლოგინში ხან იქით გადაბრუნდებოდა და ხან აქეთ.

ახ, რა ნაირადა სძულს გერტრუდას ეს გუდა მშიერი კარლი! მერე კიდევ იმისი ბაბაყული დედა და ის პატიოსანი და, რომელიც ასეთს საქმეებსა სჩადის! გამართლებით აბა როგორ გაამართლებს გერტრუდა არტურსა, მაგრამ ყველაფრის მიზეზი და დამნაშავე ლიზაა! თუ კაი ქალია, რად გაუგონა სიტყვა და ენდო ქარაფშუტა არტურს! განა შეიძლება და მოსათმენია, რომ იმათს სახლში ესეთი ამბები მოხდეს!

ასე ჰფიქრობდა გერტრუდა, მაგრამ კარგი ვერა მოისაზრა-რა და გული გულის ალაგას არ დაუდგა. ყველაფერი გარემოება კარგადა ჰქონდა გათვალისწინებული და მძლი-მალ დაეკითხებოდა ხოლმე თავისს თავს: რა ვქნა ახლა, როგორ მოვიქცეო! გერტრუდა ნიდაყვებით დაეყრდნო ბალიშსა და კვლავ განაგრძო ფიქრი. არტური გაიწვიეს და აბა პირველად თითონ ხომ არ დაუწყებს ხვეწნას შესარიგებლად. ის კარლი-კი ერთი ახირებული ვინმეა და გაჯიქდება! დღეს კიდევ არაფერი, ეგზამენს მოუნდებიან, მაგრამ ხვალა? თუ რამ მოსახერხებელია, ეხლავე უნდა მოხერხდეს. წელან რომ ისე არ მოჰქცეოდა კარლს, შეიძლებოდა, ეხლავე ცდილიყო, რომ...

ფანჯრის ფარდას დილის მზის პირველმა სხივმა შემოატანა და გერტრუდამ ტახტის გვერდზედ მდგომს სარკეში თავისი სახე დაინახა. რაღაც ფლიდმა და იმედიანმა ღიმილმა გადურბინა გერტრუდას: „ახ, ის ლლაპი ისა!“-ო წარმოსთქვა ქალმა და მალე ძილს მიეცა.

—

კარლს იმ ღამეს ძილი აღარ მიჰკარებია. იჯდა სამწერლო სტოლთან და ფიქრს მისცემოდა. თვალები უბრიალებდა, თავი სტკიოდა. თავისი თავი საშინელ უბედურად ჰიაჩნდა ამ დროს კარლს. შეჰხედავდა თუ არა არტურის ოთახის ფანჯარას, კარლს ბოღმა აწვებოდა და გულის გასაქარვებლად ხელებს-ღა ჰმუშტავდა. ისეთ ნაირად აენთო გული კარლსა, რომ უნდოდა არტურს ოთახში შეჰვარდნოდა და დაერჩო, მაგრამ ამ ფიქრმა ერთს წუთს უკან ისევ გადუარა. კარლს მოსაზრება დაეწმინდა და ხანდახან ისიც-კი აგონდებოდა, რომ ნაშუადღევს უნივერსიტეტში უნდა წავიდე და ეგზამენი დავიჭიროო.

ასე მიდიოდა საათი საათზედ. შუადღე ახლოვდებოდა. საუზმე ისევ ხელ-უხლებელი ედგა. კარლს უნდოდა წაეკითხა რამე, მაგრამ წიგნში ასოები თითქოს გაფრინდნენ: ვერა გაარჩია-რა და აზრიც ერეოდა თავში.

კარები ვიღამაც დააკაკუნა.

— ქალბატონი გერტრუდა ეძახის თავისთან ბ-ნს კარლსაო, დაიძახა მოსამსახურე ქალმა.

კარლმა განცვიფრებით შეჰხედა და გაიფიქრა, იქნება სხვა ნაირად გავიგონე ქალის სიტყვებიო. მაგრამ მოსამსახურე იქვე იდგა და პასუხს ელოდდა.

კარლს საშინელი ბრძოლა აღეძრა გულში. წასვლაც უნდოდა და თან ჰგრძნობდა კიდეც, რომ ჩემის მხრით დათმობა უკადრისობა, ულირსობა იქნებაო. მაგრამ რა, გერტრუდა უძახდა და კარლს აბა როგორ შეეძლო იმისთვის წინააღმდეგობა გაეწია.

— კარგი, მოვალო, უთხრა კარლმა მოსამსახურე ქალსა.

გაიხურა თუ არა კარები, კარლმა დააპირა, მოდი გამოვუდგები და ჩემს დაპირებას გადავთქვამო, მაგრამ ვერ მოახერხა და ღონე-მიხდილი სკამზედ დაეშვა. პატარა ხანს უკან კარლმა უკვე ჩამოაწკარუნა ზარი სახლის პატრონის კარებთან.

ფარდები ჩამოფარებული იყო, რომ ოთახში მზე არ შესულიყო, და ამიტომ ცოტაოდნად ბნელოდა. რასაც-კი შეჰხედავდა, ყველაფერი გერტრუდას აგონებდა და მცირე ხნით ავიწყდებოდა თავისი დარდი, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით. გამოვიდა თუ არა ოთახში გერტრუდა, კარლს გუშინდელი შეურაცხება მოაგონდა და აიმღვრა. მაგრამ მაინც-კი დამშვიდდა, როცა ქალი მიუახლოვდა, ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად და უთხრა:

*) იხ. „ივერია“, № 160.

*** კიდევ მივიღეთ სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და მასთან ბრძოლისათვის ბ-ნ ალექსანდრე რონიაშვილისაგან ერთი თუმანი. ამ ფულიხა გვქონდა 443 მან. 85 კაპ., ამითი შესდგა 453 მან. 85 კაპ.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 31 ივლისს ბაქოში ავად გახდა 1 გარდაიცვალა 3, მორჩა 6, ავად არის 23; სამხედრო სამკურნალოში ავად არის 26; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 152, გარდაიცვალა 95, მორჩა 63, ავად არის 177. 1 აგვისტოს ბაქოში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 20, ამათში საფრანგეთის ელჩი გუმბერტი, მორჩა 8, ავად არის 17; სამხედრო სამკურნალოში ავად არის 26; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 48, გარდაიცვალა 27, მორჩა 8, ავად არის 107.

დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 31 ივლისს შურაში გარდაიცვალა 1, მორჩა 2, მთელს ოლქში ავად გახდა 984, გარდაიცვალა 421, მორჩა 450, ავად არის შურაში 14; მთელს ოლქში ავად არის 1733. 1 აგვისტოს შურაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3; მთელს ოლქში 565, გარდაიცვალა 237, მორჩა 345; ავად არის შურაში 15, მთელს ოლქში 1716.

განჯის გუბერნატორი იუწყება: 31 ივლისს განჯაში ავად არის 1, იმ დღეს ავად არავინ გამხდარა; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 190, მორჩა 57, გარდაიცვალა 114, ავად არის 258. 1 აგვისტოს მთელს გუბერნიაში ავად გახდა 251, მორჩა 160, გარდაიცვალა 131, ავად არის 219.

ყარსის გუბერნატორი იუწყება: შურგალის მაზრაში ორის დღის განმავლობაში ავად გახდა 112, მორჩა 62, გარდაიცვალა 70, ავად არის 55.

ერევნის გუბერნატორი იუწყება: 27 ივლისს ერევანში ავად გახდა 31, მორჩა 3, გარდაიცვალა 22, ავად არის 20; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 83, გარდაიცვალა 55, მორჩა 12, ავად არის 297. 30—31 ივლისს ერევანში ავად გახდა 109, მორჩა 2, გარდაიცვალა 57, ავად არის 70; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 713, გარდაიცვალა 387, მორჩა 106, ავად არის 517.

ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: 31 ივლისს ქუთაისში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1, მორჩა 1, ავად არის 10; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 3, ავად არის 22. 1 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 3, მორჩა 1, ავად არის 8; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 5, ავად არის 26.

ზაქათალის ოლქის უფროსი იუწყება: ზაქათალაში ავად არის 2, მთელს ოლქში ავად გახდა 28, გარდაიცვალა 12, ავად არის 48. ზაქათალაში ავად არის 3, მთელს ოლქში ავად გახდა 27, მორჩა 9, გარდაიცვალა 19, ავად არის 47.

სტავროპოლის გუბერნატორი იუწყება: სტავროპოლში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 613, გარდაიცვალა 453, მორჩა 120.

*** სამასწავლებლო კომისიის წევრს, ხმოსანს ბ-ნ ნ. ზ. ცხვედაძეს, შეუდგენია და უკვე წარუდგენია ვრცელი წერილი ქალაქის სკოლების მდგომარეობაზედ. კომისია თავის დროზედ ამ წერილს განსახილველად წარუდგენს ქალაქის საბჭოს. ერთის გადათვალიერებით, წერილი სასიამოვნო მოქმედებას ახდენს, ისეა სავსე დიდად საყურადღებო ცნობებით. შემდეგში უფრო დაწვრილებით მოველაპარაკებით მკითხველს ამ საყურადღებო წერილის შესახებ.

*** სადგურს მცხეთაში უკვე ყველაფერი გაიმართა ტფილისში მომავალ მგზავრებისა და მათ ნივთების სადეზინფექციოდ დეზინფექცია დაიწყება 4 ან 6 აგვისტოს.

*** ამ თთვეში ტფილისის სამოსამართლო პალატა გაარჩევს ეკატერინოდარის ვაჭრების საქმეს, რომელთაც მკვლელობა ჰბრალდებათ. ბრალდებულთა ვექილებად იქმნებიან: მოსკოვის ცნობილი ნაფიცი ვექილი თ. პლევაკო და გ. ს. ტერ-სტეფანოვი.

6 ოქტომბერს იმავე პალატაში გარჩეული იქმნება საქმე თიონეთის მაზრის უფროსად ნამყოფის თავ. აფხაზისა. ამ საქმის გამო სასამართლოში დაბარებულია 30 მოწამეზედ მეტი.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა და მისწერა ვერის ბოქაულს ბ-ნს სვიმონოვს, მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება მოსკოვის ქუჩასა და „ნოვაია გოლანდიის“, სადაც ამ ბოლოს დროს ხოლერამ იმატა, და ეცადოს ამ ადგილების დაწმენდა-დასუფთავების.

*** აქამდის უმართებელესს სენატში წარდგენილს საჩივარს, რა ენაზედაც უნდა ყოფილიყო მოწერილი ხელი: ქართულად, სომხურად, თუ თათრულად, არა სტოვებდნენ განუხილველად. ეხლა-კი სენატი ამ გვარს საჩივრებს აღარ იხილავს და უკანვე აბრუნებს, რადგან ქართულ-სომხურთათრულად მოწერილი მომჩივანის სახელი და გვარი რუსულად არ არის ნათარგმნი.

საგლეხო საკრებულო, რომელსაც ამ უკანასკნელს დროს მოუვიდა რამდენიმე „უქაზი“ ამ საგნის შესახებ, თითონა სთარგმნის ხოლმე და ისე ჰგზავნის სენატში, მაგრამ როდესაც პირდაპირ საჩივარი საკრებულოს მოუვა სენატში წარსადგენად, საკრებულო მოვალეა მომჩივანს საჩივარი დაუბრუნოს სახელისა და გვარის გადუთარგმნელობისათვის სამის დღის განმავლობაში, რომ საჩივარს ვადა არ გაუვიდეს. რადგან საჩივრის დაბრუნებას ამ უბრალო და უმნიშვნელო ფორმის შეუსრულებლობის გამო ხანი უნდება, ურიგოს არ იზამდნენ ტფილისის გუბერნიის მომრიგებელნი შუა-კაცნი, თავიანთ განყოფილების მებატონეთა და დროებით ვალდებულ გლეხებს გამოუცხადებდნენ, რომ კვლავ საჩივარი არ წარადგინონ სენატში სახელისა და გვარის რუსულად გადუთარგმნელად.

*** ამას წინად ს. საღოლაშენიდგან დეპეშით გვატყობინებდნენ, რომ ხოლერამ თავი იჩინაო. ეხლა სარწმუნო წყაროდგან შევიტყეთ, რომ საღოლაშენში ხოლერა არ გაჩენილა, მხოლოდ საეჭვო შემთხვევა ყოფილა.

*** გაზეთ „Нов. Обоз.“-ში ვკითხულობთ: „გომბორიდგან მოსულმა სტუდენტმა-მკურნალმა შეგვატყობინა, რომ სოფ. უჯარმასა, ხაშმსა და პატარძეულში, სადაც ხოლერა გაჩნდა, სადეზინფექციო და სხვა წამლებია საჭიროო“. შეწირულების გაგზავნა შეიძლება გომბორში ტ. ს. იაკიმოვის სახელობაზედ.

## საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი.

ხელმწიფე იმპერატორმა, „უმაღლესს ჯილდოზედ წარდგენილებათა განსახილველ კომიტეტის“ დადგენილების თანახმად, ყოვლად უმოწყალესად კეთილ ინება და 19-სა დღესა ამა ივნისისას სასულიერო უწყებაში ნამსახურობისათვის უბოძა შემდეგი ორდენები:

წმიდა ანნასი მეორე ხარისხისა: სამსახურს გარეშე მყოფს გენერალ-მაიორს, თავადს ზურაბ ჩხოტუას.

წმიდა სტანისლავის მესამე ხარისხისა: თავადს ივანე ჯანდიერსა და აზნაურს სპირიდონ ჯაფარიძეს.

უმაღლესი ჯილდო

ნუსხა იმ პირთა, რომელნიც, მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ეგზარხოსის წარდგენილებისამებრ, ამა 1892 წლის 23 მაისს, სასულიერო უწყებაში ნამსახურობისათვის, ყოვლად უმოწყალესად დაჯილდოებულ იქმნენ ოქროს და ვერცხლის მედლებით.

ვერცხლის მედალი ებოძათ ყელზედ სატარებლად სტანისლავის ლენტით.

ა) ქართლ-კახეთის ეპარქიაში:

ბაქოს საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლის მზრუნველს, ქალაქ ბაქოში დროებით მცხოვრებელს, დაბადებულს ვლადიმირსკის გუბერნიის სოფ. ფილიანდინში, ვაჭარს ივანე დონიკოვს.

ბ) იმერეთის ეპარქიაში:

ქვაჭიითის წმ. ბარბარეს ეკკლესიის მნათეს, მე-2 გილდის ვაჭარს, სანიკო ხუსკივაძეს.

გ) კავკავის ეპარქიაში:

ვიზლარის ყაზანის ტაძრის მნათეს, ვაჭარს ივანე ვოლკომელსკის.

ვერცხლის მედალი ებოძათ გულზედ სატარებლად სტანისლავის ლენტით:

გ) ქართლ-კახეთის ეპარქიაში:

ქ. ლენქორანის მიხეილ მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის მნათეს თანაშემწეს, სამსახურს გარეშე მყოფს უნტერ-ოფიცერს ილია ტარასენკოს;

დუშეთის მაზრის სოფ. ქვემო-მლეთის წმ. გიორგის ეკკლესიის მნათეს, მლეთის საზოგადოების გლეხს დავით ბურდულს, და

ტფილისის მაზრის სოფ. უჯარმას წმ. გიორგის ეკკლესიის მნათეს, ზაქარია სუხიაშვილს.

ბ) იმერეთის ეპარქიაში:

დაბლა-საქარას წმ. გიორგის ეკკლესიის მნათეს, გლეხს დიონოსე არაბიძეს

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი.)

ქ. თელავი. ხომ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი კოპწია თელავი მეტად შემკულია, როგორც მდებარეობით, ისე ბუნების სიმდიდრით. თელავთან კოჯორი და მანგლისი ფას! მაგრამ ჩვენში-კი დარჩეს-და, ორი უბედურება სჭირს თელავს: ერთი ისა, რომ აქ სულ სხვა ნაირი ხალხია და მეორეც ის, რომ თელავი ნაგვის „სკლადია“. ეხლა ხოლერის გამო ცოტა მაინც გასუფთავდა. აქ, ბატონო, ალა-მაჰმად ხანის დროს ნაგავს ნახავდა კაცი ქუჩებში და ნამეტნავად ეზოებში. მართლაც-და რა მოუვიდოდა თელავს ამოდენა უსუფთაობისაგან, რომ ბუნება არა გვშველოდეს? რა და ის, რომ ყოველი სენისა და ავადმყოფობის ბუდე თელავი იქნებოდა. მაგრამ მშვენიერი მდებარეობა და, კიდევ ვიტყვი, ბუნება ძალიანა გვშველის. ერთის მხრით ცივგომბორის გრილი ნიავი და მეორეს მხრით კავკასიის მთა-გრეხილისა ისე აგრილებს თელავს, რომ რა მოგახსენოთ. მაგრამ ბუნება ერთის მხრით რომ გვშველის, მეორეს მხრით გვრყვნის და გვაზარმაცებს.

ბატონო, რა დაგვა-დაწმენდა უნდა ქუჩებს, ან ეზოებს! ჩვენ ათადანბაბადანვე ესე გვიცხოვრია, მაგრამ

---

— გმადლობთ, რომ მობრძანდით. წუხელის გაწყენინეთ და მინდოდა მეთხოვა, მაპატიეთ-მეთქი. უნდა მაპატიოთ; მე დედიჩემის გულისთვისა ვწუხდი. ხომ იცით, მოვალე ვარ, რომ ყველაფერი, რაც-კი აალელვებს, თავიდგან მოვაშორო. გინდათ, თუ არა დამეხმაროთ ამ საქმეში?

კარლი შულცე მალე ვერ მოისაზრებდა ხოლმე. კარგა ხანი უნდა ეფიქრა, რომ საქმე გაეგო და მაშინ-კი ყველაფერი ესმოდა. გერტრუდას ადვილად შეეძლო დაევიწყებინა კარლისთვის წუხანდელი წყენა. გერტრუდამ სთხოვა და აბა კარლი როგორ არ დაივიწყებდა. მაგრამ ქალი კიდევ რაღაც დახმარებასა სთხოვდა. რაღა დახმარება უნდა გერტრუდას?

„ახ რა უმსგავსი რა არისო“, ჰფიქრობდა ამ დროს გერტრუდა და შემდეგ უთხრა ნელის ხმით:

— ნუ გაახიახებთ წუხანდელს საქმეს!

ეჰე, აი თურმე რა სდომებიათ! აი თურმე რას მოელიან ჩემგან! იმდენი გონება კიდევ შერჩა კარლს, რომ გაეგო ყველაფერი, რაც-კი იმის თავის დამამცირებელი რამ იყო ამ ოთახში. წამოდგა ზეზე და თითქმის ჩურჩულით უთხრა გერტრუდას:

— არა მგონია, რომ მაგას დაბეჯითებით მეუბნებოდეთ! ჩვენც ჩვენი ღირსება და თავმოყვარეობა გვაქვს.

გერტრუდა მაინც არ შეკრთა.

— ეგ კარგი არ არის, რომ მაგისთანა ბრალსა მდებთ, ბატონო შულცე. რაც მე თქვენ მოგთხოვეთ, მოგთხოვეთ-კი არა, გთხოვეთო, გაისწორა სიტყვა გერტრუდამ, როცა შეატყო, რომ კარლი საშინლად აილეწა პირველს სიტყვაზედ: არა მგონია, რომ თქვენის ღირსების შეურაცხება იყოს. თქვენ გინდათ დუელში გაიწვიოთ ჩემი ძმა, არა?

— დიაღ.

— და გგონიათ, რომ მაგითი საქმეს გაასწორებთ?, მღელვარებით წარმოსთქვა გერტრუდამ. განა თქვენ თითონვე ვერა ჰხედავთ საზარელებას თქვენ მიერ განზრახულის საქმისას?

— თქვენ მგონი იმის თქმა გნებავთ, რომ უმადური კაცი ვარ და ცუდად გიხდით თქვენს პატივისცემასა და ქველობას? მე ჩემის პატრონების გაყიდვა არ შემიძლიან!

— ახ, რა სულმდაბლობას მწამებთ! უთხრა გერტრუდამ და თან საყვედურის კილო მისცა ლაპარაკსა. მე სრულიადაც არ მინდოდა მაგისი თქმა. მე ის დრო მომაგონდა, ჩვენ რომ ყმაწვილები ვიყავით, ამ ოთახებში რომ დავრბოდით, ერთიერთმანეთს გამოვეკიდებოდით ხოლმე... თქვენც გახსოვთ, თუ არა?

არ ახსოვდა განა კარლსა? ამ მოგონებამ ცოტა ხანს ჯავრი გადუყარა გულიდგან და დაავიწყა. ორივენი ჩუმად იყვნენ.

— და ყოველისფერი ის ამ სახით უნდა დამთავრდეს! ის საკმარისი არა ყოფილა, რომ ეს უბედურება თავიდგან აგვაცილოს! მერე როგორც უნდა გათავდეს საქმე, ხომ არც თქვენ აგცილდებათ ტანჯვა და არც ჩვენ და...

გერტრუდას ენა დაება და შემდეგ ხმა-დაბლა სთქვა: „და განსაკუთრებით მე...“

კარლმა განცვიფრებით შეჰხედა; გერტრუდამ თავი ჩაჰკიდა და გაიმეორა:

— დიაღ, განსაკუთრებით მე. ერთბაშად ძმაც უნდა დავკარგო და... მეგობარიც. ჩემი ბედი და უბედობა თქვენ ხელთ არის...

ეს უკანასკნელი სიტყვები გერტრუდამ ხმის კანკალით წარმოსთქვა; კარლს რაღაც დაპირება ეჩვენა. ყოველივე, რაც კარლს გულზედ ჰქონდა მოწოლილი: ბოროტება, განაწყენება, სიბრაზე—ერთბაშად მოაშორა და დაუკარგა იმ სინაზემ, რა სინაზითაც უკანასკნელი სიტყვები წარმოსთქვა გერტრუდამ.

კარლმა გაჰბედა, ხელზედ ხელი მოავლო გერტრუდას და ზედ ორი ცვარი ცრემლი დააფრქვია. ქალმა გვერდზედ გაიხედა და ღილანდებურად ფლიდმა ღიმილმა გადურბინა სახეზედ. „ძლივს!-ო...“ გაიფიქრა გერტრუდამ.

ქალმა აღარ დააცალა კარლს მოფიქრება, იდროვა და ჰკითხა:

— მეფიცებით, რომ თქვენ განზრახვას უარსა ჰყოფთ?

კარლს გულმა ბაგი-ბუგი დაუწყო და ძლივს წარმოსთქვა:

— გეფიცებით!

— გმადლობთ. ეხლა-კი წადით.

—

გავიდა თუ არა კარლი, გერტრუდა მაშინვე პირისაბანს სტოლს ეცა, დაასხა ტაშტზედ წყალი ვერცხლის საწურლედგან, ჩაუმატა სუნნელოვანი წყალი და ჩაჰყო ხელები. გერტრუდა რომ ხელებს ირეცხდა, ამ დროს არტური შემოვიდა და გაშტერებით შეჰხედა დასა.

— გინდა შეიტყო, საქმე როგორ არის? უთხრა გეტრუდამ: გადაგარჩინე.

— ძლიერ კარგიო, უპასუხა არტურმა. შენც იცი, რომ მხდალი არა ვარ, მაგრამ კარლთან ბორძოლა-კი არ მესიამოვნებოდა. როგორ გადაათქმევინე?

— მაგის კითხვას ის გირჩევნიან, რომ წახვიდე და ეგზამენი დაიჭირო, თორემ შულცმა რომ გაიმარჯვოს და შენ-კი ჩაიჭრა...

— მერე ახლა ვითომ რა მოხდება! მაგრამ შენ არხეინად იყავ. რაც-კი ჩემზეა დამოკიდებული, ყველაფერი გავაკეთე. თუ პროფესორებმა მეტისმეტის სისულელის კითხვა არ დამიწყეს... ეხლა-კი მშვიდობით. დროა თეთრი ყელსახვევი ვიშოვნო.

ს. გძელიშვილი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი ჭირი არ გაუჩენია ნაგავსო, იძახოდნენ თელაველები. მაგრამ, დახე თელავის იღბალს, გაჩნდა ბაქოში ხოლერა და გუბერნატორის განკარგულებამ მოვალე გახადა თელაველებიც დაესუფთავებინათ ქუჩები და ეზოები. ეხლა-კი ცოტად თუ ბევრად შეიგნეს თელაველებმა, რომ ნაგავი შინ-კი არ უნდა ავაყროლოთ, ქალაქ გარედ უნდა გავიტანოთ, რათა ავადმყოფობის დროს ნაგვის სუნს მაინც მოშორებული ვიყვნეთო. მთელი თელავი დაიყო 8 თუ 9 სასანიტარო ნაწილად და ყველა ამათი ცდა ჯერაც ის არის, რომ ნაგვისაგან და უსუფთაობისაგან განათავისუფლონ ეს ჩაგრული თელავი.

სანიტართა კომისიის თავმჯდომარედ მაზრის უფროსი ბძანდება და წევრებიც ზოგიერთნი სწორედ შესაფერისნი არიან, რადგან ესმით თავიანთი მოვალეობა, მაგრამ ზოგი-კი ღმერთმა შეინახოს. ჯერ სახელიც-კი არ იციან თავიანთი. ზოგი ამბობს, სალითანურის ჩლენი ვარო, ზოგი—სალიტანური ვარო, ზოგი—სალიტიორი ვარო და ზოგი—რას. ამ უკანასკნელებს თავიანთი თავი გუბერნატორი ჰგონიათ და ვაი დაბალი ხალხის ბრალი ამათ ხელში. სულ ლოცვა-კურთხევით იხსენიებენ ბეჩავხალხს. ზრდილობიანი ლაპარაკი და დარიგება როგორ შეიძლება, ეგ ხომ თავის დამცირებაა! ერთმა ქვრივმა სთქვა, რომ ერთი ურემი წვრილი ქვა მაქვს მოგროვილი ეზოში ცალ მხარეს და გადამკიდებიან, გაიტანე, გადაყარე, ცუდი სუნი დგება ამისაგანაო. მე ბევრი ველაპარაკე, რომ ქვებს რა სუნი ექნება-მეთქი, მაგრამ ვერ დავაჯერე და ეხლა არ ვიცი, რას მიზამენო. ასე დამემუქრა „ახტს“ შევადგინო და „ახტი“ რა არის, არ ვიციო. ბარაქალა, სალიტიორებო!! სამაგიეროთ მომეტებული ნაწილი ისე გულ-მოდგინედ ეკიდებიან თავიანთ საქმეს, რომ დიდის მადლობის ღირსნი არიან. ზოგი ეზოდგან, ბატონო, 50 ურემი ნაგავი გამოუტანიათ და ზოგიდგან, როგორც ამბობენ, მეტი გამოვაო, რომ სულ გამოვიტანოთო, მაგრამ ზოგი დარჩეს, რადგან ჯერ ერთი, რომ ნაგვის ყურებას დაჩვეული სახლის პატრონები უეცრად არ უნდა მოაკლონ ამ სიამოვნებას, და მეორე კიდევ იმიტომ, ხომ მოგეხსენებათ, ნაგავს რამდენიც მეტს გაჰქექ, იმდენი მეტად აყროლდება და ვაი თუ ამან უფრო ხელი მოუმართოს ხოლერასაო.

ასეა თუ ისე, დიდ-ძალი ნაგავი გავიდა თელავიდგან და, ღვთის წინაშე, სულ თუ არა, ცოტა მაინც გასუფთავდა. ერთის სიტყვით, ბაქოს ჭირმა ძალიან გვარგო. აი ამაზეა ნათქვამი: „ზოგი ჭირი მარგებელიაო“.

ახლა სხვის ჭირი რად გახდა თელავისთვის ლხინად? რადა და მად, რომ წელს თელავს კაცი ველარ იცნობს. ჯერ ერთი, რომ, როგორც ზევითა ვსთქვით, ვისაც თელავი წინად უნახავს და დღეს ნახავს, პირჯვარს დაიწერს და იფიქრებს, სიზმარში ვარ, თუ ცხადად ვხედავ თელავის ქუჩებს დაგვილს და მორწყულსაო. მაგრამ ეს არაფერი. თქვენ სხვა ბძანეთ, ბატონო! თელავი დღეს კახეთის პატარა პარიჟია. ამოდენა „დაჩნიკები“ ჯერ თელავს არა სტუმრებია. რა მხრის ხალხი გინდა, რომ აქ არა ნახო: ტფილისი, ბაქო-ნახჩევანი, განჯა და ზაქათალ[ა] სულ აქ არის. ერთის სიტყვით, საქართველოს ყოველ კუთხიდგან მოგვაწყდა ამოდენა ხალხი და ლამის ჩვეულებრივი ძილი შეგვიშალონ თელაველებს. არ გვინდა, არა! შორს ჩვენგან ეგენი! ჩვენ დაჩვეულნი ვართ ჩუმ და სადა ცხოვრებას და ეხლა, ღმერთო, რას ვხედავთ?! დღითიც-კი დაიარებიან ბაღში, არამც თუ მამაკაცნი, დედაკაცებიც-კი. რა საკადრისია!

ნეტა ე ჩვენი გარეთ გამოუსვლელი მზეთუნახავებიც არ აჰყოლოდნენ იმათ და დაჩნიკებს ჯანი გავარდეთ! წამწყმინდა წახედულობამაო, სწორედ ისე მოსდით ჩვენს ქალებს. შებინდდება თუ არა, ეს ჩვენი ქალებიც საჩქაროდ მიჰმართავენ „ტუალეტის“ სტოლს და ვაი სარკის ბრალი! აბა ვის გაუგონია, გეთაყვა, საღამოთი პირის ბანა და „გულაობა“? ისიც სადა!—„ნადიკვარზედ“ *). უი, დედამიწა-კი გაუსქდეთ და თან ჩაიტანოს ჩვენის ჩვეულებრივის წესის შეცვლისათვის რაღაცა „დაშნიკები“ ხართ, თუ „დენშიკები“! დედაკაცები და ნამეტნავად „ბარიშნები“, სხვაგან რომ იყვნენ, შინ უნდა მოდიოდნენ ბინდისას და ძილისთვის ემზადებოდნენ. ესენი-კი ამ დროს გაუყრიან „პოდრუჟკს“ ერთმანეთს, ან ვილაცა ოხერს და ჰაიდა ტყისკენ! კაცო, სუ რო ლაპარაკობენ, ნეტა რაზედ, ან სადა ჰშოულობენ ამდენს მასალას, არ ვიცი? თანაც-რომ უსირცხვილოდ ხარხარებენ! ვის შეჰკისკისებთ ვის, თქვე გულ-მკვდრებო, თქვენა!! იცით, რო მოგიხდებათ ეგ სიცილი? ტყუილად-კი არა სთქვა იმ დღეს გევურქ ბუღდანიჩმა: კაცო, ამ ჩვენს გოგოებს რაღა დაარბენინებთ ამ შუაღამისასო? პატრონები არა ჰყავთო? ლამის თავადებს ჩამოართონ ხელობა დამა-კავალერობაშიო. როზგი მაგათ, თორე აგვეწეწ-დაგვეწეწება ოჯახებიო!.. ესენი ასე ამბობენ და ის-კი არ იციან, რომ ვისიც პუდრის, და სხვა ტუალეტის სტოლის კუთვნილების ყიდვის ხელობა აქვს, პირზედ ღიმილი მოსდით და გულში იძახიან: ღმერთმა გამრავლოთ და იმატოს თქვენმა თაბუნმაო!

არც ნაკლებ თელაველები იყრიან ჯავრს „დაჩნიკებზედ“. თავიანთ ლხინად გაიხადეს სხვისი ჭირი. აბა თუ „დაჩნიკებმა“ ჩვენი ჩვეულებრივი ცხოვრება შესცვალეს და აგვრივ-დაგვრიეს, ჩვენც მაგათ ჯიბეებს ავრევ-დავრევთო. სთქვეს და აასრულეს. ასწიეს და ასწიეს სახლის ქირები, ასე რომ რასაც აქამდის სამ ოთახში აძლევდნენ, ეხლა ერთ ოთახში აძლევენ და ძლივს ჰშოულობენ. თითონ ამ სტრიქონების დამწერს ერთი ოთახი 12 მანეთად დამიფასეს. ზოგიერთს დაჩნიკებს, უბრალო გალესილი ოთახები რომ არ მოსწონთ, თითონ აკრავენ „შპალიერს“. იხარებდეთ და იშვებდეთ, თელაველებო! მაგრამ ძალიან კარგადა შვრებიან. ეგრე უნდა მაშ! იყრიან, თუ არა თქვენს ჯავრს! მაშ თქვენი ჭირი ჩვენთვის ლხინი არ არის? რა გინდოდათ, ჰა? აბა რაზედ მოიჰრებოდით? რაზედ დაგვიცალიერეთ სახლები, რო, თქვენი შემყურე, ჩვენი ქალებიც ანებებენ სახლს თავს და დადიან თერთმეტ საათამდის ვინ იცის ვისთან?!

ეგ კია, ღვთის წინაშე, რუსულ ლაპარაკს მაინც ისწავლიან, რადგან „დაჩნიკების“ წაბაძვით სულ რუსულს ლაპარაკობენ. ჩვენში-კი დარჩეს-და, ზოგნი სწორედ ჯვარს აცმენ და სჯიჯგნიან რუსულს ენას, მაგრამ რას იზამ. მოდაა და ან ქართული ლაპარაკი რა საკადრისია! ეჰ, ბევრი უფრო გასაოცარი საქმე ხდება ჩვენ ჯერ ხოლერისაგან შეუხებელ და განსპეტაკებულ თელავში, მაგრამ... მაგრამ რა? ის, რომ... სუსკაც!

შინ—ჩინ

*) ნადიკვარი სასეირნო ალაგია.

## რუსეთი

მოსკოვის სამკურნალოებში ავად იყო 53, ავად გახდა 28—29 ივლისს 16, გარდაიცვალა 6, მორჩა 7, ავად არის 56.

— მოსკოვის გუბერნიაში, ქალაქ მოსკოვს გარდა, 28—29 ივლისს მიიყვანეს სამკურნალოებში 5, გარდაიცვალა 1, ავად არის 4. ხოლერის გაჩენიდგან სამკურნალოებში მიიყვანეს 14, მორჩა 1, გარდაიცვალა 5, ავად არის 8. მიდამოებში ვინც ავად ხდება, მოსკოვის სამკურნალოში მიჰყავთ. მოსკოვში პირველად ავად გახდა 14 ივლისს ნოქარი გუშჩინი, 45 წლისა. ამ ნოქარს თავის ნათესავისაგან დარჩენოდა რაღაც ნივთები, რომელიც სარატოვიდგან გამოუგზავნეს. გუშჩინის ნათესავი თურმე ხოლერით გარდაცვლილიყო სარატოვში და ამბობენ, ვითომ ხოლერა იმის ნივთებს გამოჰყვა და გადაედო გუშჩინსაო. გუშჩინის შემდეგ ავად გახდა ორი ყასაბი. გუშჩინი მეორე დღესვე გარდაიცვალა. შემდეგ ხოლერა გაჩნდა მოსკოვის მახლობელ სოფლებშიაც.

— ასტრახანში 25 ივლისს ავად გახდა 13, გარდაიცვალა 6, მორჩა 25. მთელს გუბერნიაში ავად გახდა 268, გარდაიცვალა 187, მორჩა 87.

— ვორონეჟში 25 ივლისს ავად გახდა 78, გარდაიცვალა 28; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 24, გარდაიცვალა 5.

— ეკატერინოსლავსკის გუბერნიაში 26 ივლისს ავად გახდა 27, გარდაიცვალა 10.

— ყაზანში 25 ივლისს ავად გახდა 9, გარდაიცვალა 4, მორჩა 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 27.

— ქალაქ მოსკოვში 25 ივლისს ავად გახდა 20, გარდაიცვალა 7, ავად არის 32; მთელს გუბერნიაში 26 ივლისს ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1, ავად არის 4.

— ნიჟნი-ნოვგოროდში 26 ივლისს ავად გახდა 43, გარდაიცვალა 33, მორჩა 45; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 68, გარდაიცვალა 22, მორჩა 16.

— ქალაქ ორენბურგში 25 ივლისს ავად გახდა 183, გარდაიცვალა 74, მორჩა 33; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 55, გარდაიცვალა 36.

— ქალაქ ელცში (ორლოვის გუბერნიაშია) 24 ივლისს ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2.

— ქალაქ პერმში 25 ივლისს ავად გახდა 14, გარდაიცვალა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 9.

— პოლტავის გუბერნიაში 24 ივლისს ავად გახდა 1.

— ქალაქ რიაზანში 25 ივლისს ავად გახდა 2, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 5.

— ქალაქ სამარაში 25 ივლისს ავად გახდა 62, გარდაიცვალა 26, მორჩა 48; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 362, გარდაიცვალა 205, მორჩა 94.

— ქალაქ სარატოვში 25 ივლისს ავად გახდა 62, გარდაიცვალა 35, მორჩა 10. მთელს გუბერნიაში ავად გახდა 293, გარდაიცვალა 160, მორჩა 67.

— ქალაქ სიმბირსკში 25 ივლისს ავად გახდა 35, გარდაიცვალა 10; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 122, გარდაიცვალა 53.

— ტამბოვის გუბერნიაში 26 ივლისს ავად გახდა 194, გარდაიცვალა 107.

— ქალაქ იაროსლავში 25 ივლისს ავად გახდა 6, გარდაიცვალა 4. ქალაქ რიბინსკში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2.

— ქალაქ როსტოვში და ნახიჩევანში (დონისა) 25 ივლისს ავად გახდა 153, გარდაიცვალა 97, მორჩა 102; სხვა-და-სხვა ოლქში ავად გახდა 769, გარდაიცვალა 502, მორჩა 352.

— ქალაქ ტობოლსკში 25 ივლისს ავად გახდა 29, გარდაიცვალა 14, მორჩა 8.

— ქალაქ ურალსკში 25 ივლისს ავად გახდა 12, გარდაიცვალა 1. ქალაქ გურიევსა და ახლო-მახლო მიდამოებში 24 ივლისს ავად გახდა 8, გარდაიცვალა 25; სხვა-და-სხვა ოლქში გარდაიცვალა 39, ავად გახდა 3.

— იმიერ-კასპიის მხარეს 22 ივლისს ავად გახდა 72, გარდაიცვალა 24.

— თურქესტანში 17—22 ივლისს ავად გახდა 97, და იმავე დროს განმავლობაში გარდაიცვალა 251.

## წვრილი ამბავი

### ვირ-სახედართა გამოფენა ლონდონში.

ვირ-სახედართა გამოფენას ლონდონში სამს წელიწადში ერთხელ იმართება და ზნეობრივ-სააღსამზრდელო აზრით ჰმართავენ. საქმე ის არის, რომ ლონდონში, როგორც სხვა დიდს ქალაქებშიაც, პაწია ურმებით, რომლებშიაც ვირებია შებმული, უბან-უბან დაჰქვთ ხილი, რძე, ნახშირი, ჭურჭელი და სხ. თუმცა სახედარს ბევრი დიდი ღირსება აქვს, მაინც მეტად დატანჯულები იყვნენ თავისის პატრონებისაგან. ლონდონის უბნის მოვაჭრე იმ თავითვე განთქმული იყო ლოთობითა, ყომარბაზობითა და ცუდის ენა-დაყვავით. მოვაჭრე ერთ გვარის სისასტიკით და უდიერობით ექცეოდა თავის ცოლსაცა და თავის ოთხ-ფეხსა თანამშრომელსაც. მისის ცოლის ბედ-იღბლისა-კი არა ვიცით-რა, ხოლო რაც შეეხება სახედარს, ამისი მდგომარეობა დიდად ანაღვლიანებდა გულ-შემბრალებელ ქალებსა და ქველ-მოქმედ ლორდებს. ისტ-ენდის ქუჩებზედ გავლის დროს ისინი ნაღვლიანად დაცქეროდნენ ხოლმე მომთმინესა და მორჩილს სახედარს, რომელიც უშფოთველად და უდრტვინველად ეწეოდა თავისს ტვირთს. ასეთს გარემოებაში იყო ეს საქმე 1865 წლამდე. ამ წელს ლონდონის პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ პირველი გამოფენა გამართა ამ მოვაჭრეთა ვირ-სახედრებისა. გამოფენამ ოთხს დღეს გასტანა და 125 ოთხ-ფეხი იყო გამოფენილი. ჯილდოები იმ პატრონებს მისცეს, რომელთა სახედარიც კარგად იყო მოვლილი და მორთულ-მოკაზმულ დაშალტული. მას შემდეგ ყოველს სამს წელიწადში ერთხელ ჰმართავენ ამ გამოფენას. ამ საქმის მეთაურნი არიან ლორდ შეფტსბიური და ბარონესა ბარდეტ-კაუტსი. გამოფენაზედ არიგებენ ჯილდოს, მედლებსა და ქების ფურცლებს. ამ გამოფენათა წყალობით, ოთხ-ფეხის ბედ-იღბალი წაღმა დატრიალდა, ქუჩის ვაჭარნი თვალის სინათლესავით უფრთხილდებიან, ყველას უნდა, ჯილდო რამ მიიღოს და თავისი ქება გაიგონოს. 1875 წ. კოქსტონის უბნის მოვაჭრეებმა განსვენებულს ლორდს შეფტსბიურის ამ საუცხოო საქმის დაწყებისათვის სახედარი მიუყვანეს საჩუქრად. სახედარი დარბაზში თავ-მოყრილს ხალხს შუა გაატარეს და შვიდ საფეხურიან კიბეზედ აიყვანეს, იმ ადგილას, სადაც ლორდის შეფტსბიურის სტოლი იდგა. იმ დროს, როდესაც ლორდი მადლობას უხდიდა ასეთის საჩუქრისათვის, სახედარი, რასაკვირველია, გაოცებული იდგა და ყურებს აპარტყუნებდა. დამსწრენი ამბობენ, რომ სახედარს თავი ღირსებით ეჭირა და სტოლზედ ყვავილების თაიგული რომ არა მდგარიყო, მის საქციელს მტერიც-კი ხინჯს ვერ უპოვნიდაო. ამ თაიგულის სუნმა ცოტა არ იყოს შეაშფოთა პატივცემული წარმომადგენელი სახედართა ჯიშისა და ჯილაგისა. განსვენებულმა ლორდმა მადლობა განუცხადა სახედრის მიმყვანებს, მერე პირუტყვს კისერზედ ხელი მოჰხვია და სთქვა: სიკვდილისას ჩემი ნატვრა ეს-და იქნება, რომ ჩემს შესახებ ამის მეტი აღარა სთქვან-რაო: ამ კაცმა ისევე კეთილ-სინიდისიერად აასრულა თავისი მოვალეობა ამ ქვეყნად, როგორც მასთან საჩუქრად მიყვანილმა სახედარმა, ესე იგი იმავე შეურყეველის მოთმინებითა და უდრტვინველის მორჩილებითაო. უკანასკნელს გამოფენაზედ 200-მდე პირუტყვი იყო, მწკრივად დაყენებული, ყველანი კარგად გამოკვებილნი, გაწმენდილ-გაფაქიზებულნი და მორთულ-მოკაზმულნი. აშკარად ემჩნეოდა, რომ სახედრის პატრონები მას თავის მეგობრად და შემწე-მასაზრდოებლად სთვლიდნენ. საღამოს ექვსს საათზედ ჯილდოების დარიგება დაიწყო. ოთხს გარდა, ყველა სახედრის პატრონმა მიიღო ჯილდო სახედრის კარგად მოვლისა და პატრონობისათვის. დარბაზში უშველებელი დროშა ეკიდა, რომელზედაც ლორდი შეფტსბიურია დახატული სწორედ ისე, როგორც 1875 წელს იყო: სახედრისათვის ხელი შემოუხვევია და მადლობას უხდის საზოგადოებას. ჯილდოებს არიგებდნენ მარკიზი ლორნიისა და ბარონესა ბარდეტ-კაუტსი. მოლაპარაკეთა შორის იყო მგზავრი სტენლიც, რომელმაც გულის-ამაჩუყებელი ანეგდოტი სთქვა სახედრის შესახებ. ამას გარდა, სხვა მხრივაც უწევენ ლონდონში სახედრებს მფარველობას: დაარსებულია პირუტყვთა სამკურნალო, სადაც სახედრის პატრონს შეუძლიან თავისი ავადმყოფი პირუტყვი მიიყვანოს, დააბინაოს და იმის მაგიერ დროებით მეორე სახედარი წამოიყვანოს. ამისათვის კვირაში მხოლოდ ათს შაურს აძლევინებენ სახედრის პატრონს.

## დეპეშა

3 აგვისტო

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** დღეს სანიტარო კომისიათა კრებაზედ გამოა-

ცხადეს, რომ გადამდები სენი დღითი დღე მცირდება, თანდათან ცოტანი ხდებიან ხოლერით ავად. ხოლერა ისე აღარ არის გამწვავებულიო. ერთ-ხმად დაადგინეს: რადგან საჭიროება აღარ მოითხოვს, დაიკეტოს გემებზედ გამართული სამკურნალოები და შემცირდეს მკურნალ-სანიტართა რიცხვი. ხვალისათვის მომზადებული ქალაქის ფარდული, რომელიც ხოლერიანთათვის იყო დანიშნული, სხვა საგნისათვის იქნება მოხმარებული.

**ლონდონი**. დღეს შუადღისას გლადსტონი ოსბორნს წავიდა დედოფალთან მინისტრთა ნუსხას წარსადგენად.

**ტიან-ძინი**. გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელეებმა განაცხადეს, რომ ჩვენ არავითარი ოფიციალური ცნობა არა გვაქვს რუსების მოძრაობის შესახებ პამირში. საზოგადოდ ამ საქმეს ჩვენს არავითარს ყურადღებას არ ვაქცევთ, რადგან ჩვენს უწყებასთან არავითარი კავშირი არა აქვსო. იმათის სიტყვით, ამ საქმეში პასუხის-მგებელია მხოლოდ ჩინეთის თურქესტანის გუბერნატორიო.

პეტერბურგის ბირჟა, 28 ივლისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,80 | 7,82 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 156 | 156 3/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 234 1/2 |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 222 3/4 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 192 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . . | 102 3/4 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99 1/2 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102 3/4 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99 3/4 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 3/4 | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

#### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაითს.

ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | „ | კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | | „ | „ |
| „ „ 2 | | „ | „ |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | | „ | „ |
| „ „ „ 2 | | „ | „ |
| „ „ „ 3 | | „ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში. | | | |
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | | | კ. |
| მე-2 „ „ „ | | „ | . |
| მე-3 „ „ „ | | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | | 8 | „ |
| „ „ 2 | | „ | „ |
| სუკი — — — | | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | | 9 | „ |
| ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. | | 7 | „ |
| მე-2 ხარ. ტყავიანად | | 6 | „ |

---


## განცხადებანი

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.
საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—85)

გასაფრთხილებლად.
ჩვენს პატივცემულს მყიდველებსა ვთხოვთ, რომ მოითხოვონ ხოლმე ჩვენ მიერ გამოგონილი საპონი
ოლეო-ვაზელინის
**როიალ-კონგო**
მხოლოდ ჩვენის წარწერით-კი ე. ბოდლოსი და ამხ. ამ საპონმა დიდი სახელი გაითქვა და არა აქვს-რა საერთო ღირსებითა და სუნით სხვა ამ სახელის მაგვარ სახელიან საპნებთან.
საპარფიუმერო ფაბრიკა
,,ვიქტორია რეგინა''
**ე. ბოდლოსი და ამხ.**
მოსკოვს.
ისყიდება ყველგან! (10—8)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმურ სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . . | „ | 25 |
| სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . | „ | 50 |

წიგნის გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება
ახალი წიგნი
ვახუშტი ბატონიშვილი
**საქართველოს**
გეოგრაფია
1 წიგნი
**სამცხე**
ვახუშტის საზოგადო ,,შესავალი''-თურთ.
გამოცემა
მოსე ჯანაშვილისა
ფასი 25 კაპ.

Maison Hermann-Lachapelle, J. BOULET & C-ie, successeurs
**31-33.** Rue Boinod à PARIS.
ჯვარი საპატიო ლეგიონისა 1888 წ.
**ოთხი ოქროს მედალი**, პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ მიღებული **1889** წ.
განუწყვეტლად მომქმედი მანქანა საკეთებლად



ყოველის გაზის სასმელისა: ლიმონადისა, სოდის წყლისა და შუშხუნა ღვინოებისა. ერთად-ერთი მანქანა, შიგნიდგან დმოვერცხლილი.
ი ფ ო ნ ი
ოყველის ფორმისა ფერისა და
დაწვრილებითი კატალოგი უსასყიდლოდ იგზავნება.
(5—3)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
**„ივერია“**
1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველდღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . 6 მ.—კ. | |
| 11 ,, . . . . 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . . 5 ,, 50,, | |
| 10 ,, . . . . 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . . 4 ,, 75,, | |
| 9 ,, . . . . 8 ,, —,, | | 3 ,, . . . . 3 ,, 50,, | |
| 8 ,, . . . . 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . . 2 ,, 75,, | |
| 7 ,, . . . . 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . . 1 ,, 50,, | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ''.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე-და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. №.


Дозв. ценз. Тифлисъ, 4-го Августа 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.